ეროვნული
ბიბლიოთეკა

H 5556

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. თებერვლის 3 № 4 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

22. უმაღლეს სასწავლებლების და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაკების პენსიით უზრუნველყოფის დებულების დამტკიცების შესახებ.
დებულება უმაღლეს სასწავლებლების და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაკების პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. უმაღლეს სასწავლებლების და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაკების პენსიით უზრუნველყოფის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული პერსონალური და აკადემიური პენსიების დამნიშვნელი მთავრობის კომისიის მიერ წარმოდგენილი დებულება უმაღლეს სასწავლებლების და სამეცნიერო საკვლევო დაწესებულებების სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაკების პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

2. ის პირები, რომლებსაც პენსია ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული დებულების გამოცემამდე დაენიშნათ, ინარჩუნებენ პენსიის მიღების უფლებას შემდეგშიაც, თუნდაც დებულების თანახმად მათ არ ჰქონდეთ პენსიის მიღების უფლება.

თუ ამ დებულების გამოცემამდე დანიშნული პენსია მე-8 მუხლით დაწესებულ ნორმებზე ნაკლებია, იგი სათანადოდ გადიდდება; ხოლო თუ იგი ხსენებულ მუხლში დაწესებულ ნორმებს აღემატება, მისი ოდენობა არ შემცირდება.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 20 ოქტომბრის დადგენილება „წელთნამსახურობისათვის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 32, მუხ. 196; 1937 წ. № 20, მუხ. 150).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. დეკემბრის 28. № 2889.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

უმაღლეს სასწავლებლების და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაკების პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

I. პენსიით უზრუნველსაყოფელი პირები.

1. ამ დებულების თანახმად პენსიის მიღების უფლება აქვთ:

ა) საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებელთა კათედრების გამგე პროფესორებს, კათედრების პროფესორებს, დოცენტებსა და ასისტენტებს, უფროს მასწავლებლებსა და მასწავლებლებს;

ბ) საქართველოს სსრ სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა პროფესორებს, უფროს და უმცროს მეცნიერ თანამშრომლებს.

2. 1-მუხლში აღნიშნულ პირთა გარდაცვალებისა ან სათანადოდ დადასტურებული უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში, უკეთუ ამ დებულების საფუძველზე ისინი სარგებლობდნენ პენსიის მიღების უფლებით ან იღებდნენ პენსიას, პენსიის მიღების უფლება ენიჭება მათი ოჯახის შემდეგ წევრებს, რომლებიც მათ რჩენაზე იმყოფებოდნენ:

ა) შვილებს, ძმებსა და დებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე;

ბ) სრულწლოვან შვილებს, ძმებსა და დებს, რომლებმაც შრომის უნარი დაჰკარგეს 18 წლის ასაკის მიღწევამდე და რომლებიც მიკუთვნებული არიან ინვალიდობის ერთერთ ჯგუფზე;

გ) შრომის უუნარო მშობლებს და მეუღლეს, რომლებიც მიკუთვნებული არიან ინვალიდობის ერთ-ერთ ჯგუფზე, უკეთუ მათ შრომის უნარი დაეკარგათ ოჯახის მარჩენალის გარდაცვალებიდან ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის დადასტურების მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში ან უკეთუ ამ დროისათვის მშობლებს ან მეუღლეს შეუსრულდათ: მამაკაცს 60 წელი, ხოლო ქალს—55 წელი;

დ) მშობლები და მეუღლე, თუ ისინი უვლიან გარდაცვლილი ან უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის შვილებს, ძმებსა და დებს, რომლებსაც 8 წელი არ შესრულებიათ და რომლებიც მის რჩენაზე იმყოფებოდნენ.

II. პენსიის დანიშვნის პირობები.

3. 1-მუხლში აღნიშნულ პირებს პენსიის უფლება ენიჭებათ იმ შემთხვევაში:

ა) უკეთუ პედაგოგიურ ან სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოზე იმსახურეს არანაკლებ 25 წლისა, აქედან არანაკლებ 15 წლისა საბჭოთა ხელისუფლების დროს უმაღლეს სკოლასა და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებში;

ბ) უკეთუ შეუსრულდათ: მამაკაცებს—60 წელი, ხოლო ქალებს—55 წელი, ან დაჰკარგეს შრომის უნარი (ინვალიდობის ერთ-ერთი ჯგუფი) ისე, რომ არ შესრულებიათ: მამაკაცებს—60 წელი, ხოლო ქალებს—55 წელი და უმსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურიათ იმავე თანამდებობებზე არანაკლებ 15 წლისა საბჭოთა ხელისუფლების დროს;

ვ) უკეთუ დაჰკარგეს შრომის უნარი (ინვალიდობის ერთ-ერთი ჯგუფი) მათ მიერ სამეცნიერო ან სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით, მათი სამეცნიერო ან სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის სტაჟისაგან დამოუკიდებლად.

4. სტაჟში, რაც პენსიის მიღების უფლებას იძლევა, ჩაითვლება მუშაობა იმ დროიდან, რაც ეს პირები ჩარიცხულ იქნენ ასპირანტებათ უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან ან დატოვებულ იქნენ სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის მოსამზადებლად.

5. 1-მუხლში აღნიშნულ პირებს პენსიის მიღების უფლება ენიჭებათ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ მე-3 მუხლის „ა" და „ბ" პუნქტებით დაწესებული სტაჟი, მიუხედავად იმისა, უმუშავნიათ თუ არა მათ ერთს ან რამდენიმე დაწესებულებაში და სად მუშაობდნენ ისინი, თუ პენსიის დანიშვნის დროისათვის ისინი საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრობენ.

მათი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი შეიძლება განუწყვეტელი არ იყოს.

6. სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის სტაჟში ჩაითვლება მუშაობის შემდეგი შეწყვეტა:

ა) მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში, სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ფლოტში, აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასაზღვრო და შინადაცვის ჯარებში სამხედრო სამსახურის გავლის დრო, წითელ გვარდიელთა ან წითელ პარტიზანთა რაზმებში მონაწილეობის დრო;

ბ) 1921 წლის 25 თებერვლიდან საბჭოთა დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ან პროფესიულ ორგანიზაციებში არჩევითს თანამდებობებზე ყოფნის დრო;

გ) მეფის და კაპიტალისტური წყობილების დამხობისაკენ მიმართული რევოლუციურ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის საპატიმროში ან ციხეში, კატორღაში ან გადასახლებაში ყოფნის დრო, აგრეთვე ის დრო, როდესაც ისინი რევოლუციამდე გადაყენებული იყვნენ სამეცნიერო-პედაგოგიური სამუშაოდან მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის (სხვა სამუშაოზე გადასვლამდე);

დ) სამეცნიერო მივლინებაში ან კვალიფიკაციის ასამაღლებელ მოკლევადიან კურსებზე ყოფნის დრო;

ე) ის დრო, რომლისათვისაც ეძლეოდათ დახმარება შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო.

7. სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის სტაჟში არ ჩაითვლება რევოლუციამდელი მუშაობა რელიგიურ კულტთან დაკავშირებულ სასწავლებლებში, სამხედრო აკადემიებში (გარდა სამხედრო-სამედიცინო აკადემიისა), კადეტთა და პაჟთა კორპუსებში, იუნკერთა და სამხედრო სასწავლებლებში, ლიცეუმებსა და სამართლის-მცოდნეობის სასწავლებლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. პ ე ნ ს ი ი ს ო დ ე ნ ო ბ ა.

8. ამ დებულების 1 მუხლში ჩამოთვლილ პირებს, თუ ისინი აკმაყოფილებენ მე-3 მუხლში აღნიშნულ პირობებს, პენსია მიეცემათ შემდეგი ოდენობით თვეში:

ა) უმაღლეს სასწავლებელთა კათედრების გამგე პროფესორებს, კათედრების პროფესორებს და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა პროფესორებს, რომლებსაც აქვთ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი—500 მანეთი;

ბ) უმაღლეს სასწავლებელთა კათედრების გამგე პროფესორებს, კათედრების პროფესორებს და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა პროფესორებს, რომლებსაც მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი არა აქვთ — 400 მ.;

გ) კათედრების დოცენტებს, უფროს და უმცროს მეცნიერ თანამშრომლებს, რომლებსაც მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი აქვთ— 350 მანეთი;

დ) კათედრების დოცენტებს, უფროს და უმცროს მეცნიერ თანამშრომლებს, რომლებსაც სამეცნიერო ხარისხი არა აქვთ, კათედრების ასისტენტებს, უფროს მასწავლებლებსა და მასწავლებლებს, რომლებსაც მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი აქვთ— 300 მანეთი;

ე) ასისტენტებს, უფროს მასწავლებლებსა და მასწავლებლებს, რომლებსაც სამეცნიერო ხარისხი არა აქვთ—250 მანეთი.

9. 1-მუხლში აღნიშნული პენსიონერები იღებენ სრულ პენსიას იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ისინი განაგრძობენ მუშაობას იმ თანამდებობებზე, რომლებიც ამ დებულების თანახმად, იძლევიან პენსიის მიღების უფლებას.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ პირებს აქვთ სისტემატური საშოვარი ან შრომითი შემოსავალი სხვა წყაროებიდან, პენსია საშოვართან ან შემოსავალთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს ხვედრი პენსიის ორმაგ ოდენობას (მუხ. 8).

თუ პენსია საშოვართან ან შემოსავალთან ერთად აღნიშნულ ზღვრულ ოდენობას აღემატება, მაშინ პენსია შემცირდება ამ ზღვრულ ოდენობამდე.

10. ამ დებულების მე-2 მუხლში აღნიშნულ ოჯახის წევრებს პენსია დაენიშნებათ შემდეგი ოდენობით:

ა) მეუღლეს—სრული პენსიის ნახევარი;

ბ) ოჯახის სხვა წევრებს—სრული პენსიის მეოთხედი თვითეულ მათგანს.

ამასთან ოჯახის ყველა წევრისათვის, მათ შორის მეუღლისთვისაც დანიშნული პენსიის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს მე-8 მუხლით დაწესებული პენსიის სრულ ოდენობას და იგი უნდა განაწილდეს ოჯახის წევრებს შორის მათი რიცხვის პროპორციულად.

11. იმ პირებმა, რომლებიც პენსიას იღებენ ამ დებულების თანახმად, პენსიების დამნიშვნელ კომისიას უნდა აცნობონ, თუ რამდენ მუდმივ ხელფასს ან შემოსავალს იღებენ არასპეციალობის მიხედვით მუშაობისაგან (მუხ. 9) ან თუნდაც სპეციალობის მიხედვითაც, მაგრამ არა უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მუხლის განზრახ დარღვევისათვის პენსიონერი მიცემული იქნება ბრალდებულ ხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 210 მუხლის თანახმად.

ასეთ შემთხვევებში ზედმეტად მიცემული თანხა დაეკავება ხვედრი პენსიიდან სასამართლოს განაჩენით ან იმ წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომლითაც ამის შესახებ თვით პენსიონერი მიმართავს კომისიას.

12. 1-მუხლში აღნიშნულ პირებს, რომლებსაც პენსია დაენიშნათ ამ დებულების საფუძველზე და რომლებიც გადადიან სხვა ისეთ სამუშაოზე, რაც იძლევა უმაღლესი ოდენობის პენსიის მიღების უფლებას (მუხ. 8), უმაღლესი ოდენობის პენსია მიეცემათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი ორ წელიწადს იმუშავებენ ამ თანამდებობაზე.

სამეცნიერო ხარისხის მინიჭება აძლევს პენსიის სათანადო უმაღლესი ოდენობის მიღების უფლებას (მუხ. 8) იმ დღიდან, რაც წარდგენილი იქნება დოკუმენტები მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭების შესახებ ან დადგენილი წესით მეცნიერებათა დოქტორის ხარისხში დამტკიცების შესახებ.

თუ ამ მუხლში აღნიშნული პირები მიატოვებენ უმაღლეს სასწავლებლებში ან სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობას შრომის უნარის დაკარგვის გამო, მათ უფლება აქვთ მიიღონ პენსია უკანასკნელი თანამდებობის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ხანს იმუშავეს მათ ამ თანამდებობაზე.

IV. პენსიის დანიშვნის წესი.

13. ამ დებულებით გათვალისწინებულ პენსიებს დანიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე—საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ან მისი მოადგილე და კომისიის წევრები — საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და უმაღლესი სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები.

ამ კომისიის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

14. კომისიის დადგენილებებს პენსიის დანიშვნის ან პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

15. ამ დებულების თანახმად პენსიის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა არ არის განსაზღვრული არავითარი ვადით და შეიძლება აღძრულ იქნას დამოუკიდებლად იმისა, თუ სახელდობრ როდის წარმოიშვა პენსიის მიღების უფლება.

16. პენსიის დანიშვნის შესახებ აღძრულ თვითეული შუამდგომლობის მიხედვით მე-13 მუხლში აღნიშნულ კომისიას შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოითხოვოს დასკვნა საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატებისა და მათთან გათანაბრებული დაწესებულებებისაგან.

იმ პირებმა, რომლებიც პენსიის დანიშვნას ითხოვენ, უნდა წარმოადგინონ მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები, რაც თანახმად ამ დებულებისა პენსიის მიღების უფლებას იძლევა, აგრეთვე, საჭირო შემთხვევებში, დოკუმენტები წლოვანობის შესახებ.

პერსონალური და აკადემიური პენსიების დამნიშვნელმა მთავრობის კომისიამ შუამდგომლობა პენსიის დანიშვნის შესახებ უნდა განიხილოს მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.

17. პენსიის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნას, თუ სახელდობრ რა დროიდან და რა რაოდენობით დაენიშნა პენსია, ხოლო გარდაცვლილ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ პენსიონერთა ოჯახებისათვის პენსიის დანიშვნის დროს—თუ როგორ ნაწილდება პენსია ოჯახის თვითეულ წევრზე იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრები ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

18. პენსიის დანიშვნის შესახებ აღძრული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პენსიის დამნიშვნელი ორგანო სათანადო პირებს მისცემს საპენსიო წიგნაკებს, რომლებიც პენსიის მისაღებად ერთადერთ დოკუმენტს წარმოადგენენ.

19. პენსიონერი პენსიის მიღების უფლებას ჰკარგავს იმ შემთხვევაში, როდესაც კანონიერ ძალაში შევა განაჩენი, რომელიც ითვალისწინებს პენსიის უფლების ჩამორთმევას.

20. იმ პირებს, რომლებიც მიცემული არიან სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში ისეთი დანაშაულისათვის, რომლის მიხედვითაც სასამართლოს შეუძლია ჩამოართვას მათ პენსიის მიღების უფლება, პენსიის მიცემა შეუჩერდებათ.

ამ პირების გამართლების, მათ წინააღმდეგ აღძრული საქმეების მოსპობის შემთხვევაში პენსია მათ მიეცემათ საერთო საფუძვლებზე.

21. პენსიას გასცემს სახელმწიფო შრომის ის შემნახველი სალარო, რომელზედაც პენსიონერი მიუთითებს.

22. დანიშნული პენსია, რაც პენსიონერმა თავის დროზე არ მოითხოვა, გაიცემა გასული დროისათვის არაუმეტეს თორმეტი თვისა იმ დღიდან, რაც პენსიონერმა მოუთხოვნელი პენსიისათვის მიმართა.

შემნახველი სალაროს ბრალით მიუღებელი პენსია გასული დროისათვის გაიცემა შეუზღუდველად.

23. პენსიის გაცემა ამ დებულების თანახმად ხდება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან.

41-286
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28

შეკვეთა № 311. ტირაჟი 1.600.